საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-საალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000-მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღია დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2,000 მან.

№ 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა საერევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

აკაკი ტყემალაძე, ვახტანგ კოტელნიშვილი, მიხ. ჯაბრამიშვილი და ილიკო ქაჯაია აუწყებენ საზოგადოებას, ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტის ძველი სტუდენტის

სეით რაზმაძის

გარდაცვალებას. ტფ. საგუბერნიო ციხეში.

ჩვენ და კომინტერნის მოწოდება.

1.

მესამე ინტერნაციონალმა 1922 წელი გახსნა ახალი მოწოდებით. შესანიშნავია ეს მოწოდება არა თავისი ანალიზით ან ლაჩვეულო სტილით, არ, მოწოდებაში ასეთს მომენტებს არასოდეს არ აქვს ადგილი. მოწოდება მთელი საერთაშორისო მდგომარეობის კონსპექტიური ანარეკლია.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ტონი, ოპტიმიზმი და შემდეგ შინაარსიც მოწოდების. გამარჯვებულ ორგანიზაციის ტონი, ღრმა ინტერესი მსოფლიო რევოლიუციის გაჩაღებისა, ყოველივე ძალის გამოყენების აღდო—ეი სხარტად შინაარსი კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის საახალწლო მოწოდებისა.

1922 წელი გასაკუთრებულ ხასიათის ეპოქას გვიშლის. კაპიტალისტური კულტურის აგონია დღეს ყველასათვის ნათელჰყო როგორც ვაშინგტონის, ისე გენუას სამზადისმა. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ვერც ერთი საკითხის გადაჭრა, ინტერვენტანტებმა ვერ უბრუნველყვეს ვერც ერთი მომენტი წარმოებისა და პროლეტარიატის ცხოვრებისა. ეკონომიურ ცხოვრებას ევროპის მრეწველობამ გადაუშალა მთელი რიგი რთული ჰამოცანა და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაგდო ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ეკონომიკა. ეს მილიონიან ამერიკის ხალხში 7 პროცენტი სრულიად უმუშევარია და იკვებება სახელმწიფოს ულუფით, ასეთივე პროცენტია უუშევართა ინგლისში. გერმანიაში პროლეტარიატი წელებზე ფეხი იდგამს, მაგრამ ჯამაგირი ათ აკმაყოფილებს 12 დღის ადამიანურ მოთხოვნილებას. ვრცელდება ქირი, ყოველი სხეულებანი, ავადმყოფთა სიკვდილი. ევროპის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფიულია. ბურჟუაზიის ფრონტი დაიქსაქსა. გარდინგის ვაშინგტონს ლლოიდ ჯორჯმა გენუათი გასცა პასუხი. იტალიაში ალარ იცის რა უყოს თავის 70 მილიონ ხალხს, რომელსაც კოლონია, ბანჯარა და მთელი კვანტუნი უნდოდა საკოლონიზაციოდ, მაგრამ ამერიკა კი აიძულებს აიბარგოს თავის ქვეყანაში. საფრანგეთმა მილიარდები ჩაყარა დენიკინ-ვრანგელის ჯარში და დღეს გასუქმი წასვლა სასიკვდილოდ ეიჩხირა. შეუძოწმებელ ცნობებით ამერიკა ბოიკოტს უცხადებს ლლოიდ ჯორჯის კომბინაციებს. ერთი სიტყვით ჩვენ ვიმყოფებით ბეტად შესანიშნავ ოთულს პოლიტიკურს პირობებში, ბურჟუაზიის სრული გაკოტრების პროცესში, პაულ ლევი, გერმანიის კომპარტიის რენეგატი წინასწარმეტყველებდა რომ გერმანიის კრიზისი თავის უმწვერვალეს წერტილს მიაღწევს 1926 წელს. ამერიკის მარინისტული გეგმა გვაჩვენებს მეორე დატას—1925 წელს, როცა მისი სამხედრო ფლოტი უძლიერესი იქნება მსოფლიოში, თვით 1922 წელი გაიხსნა კი დიდი სამსოფლიო კრიზისით.

რა უნდა ქნას მუშათა კლასმა? ეი აქ ჩნდება ჰორიზონტზე არა მეორე გაკოტრებული ინტერნაციონალი ან ორნახევარი კომბინაცია ინტერნაციონალისა, არამედ მესამე კომინტერნი. 1922 წელი იძლევა უკვე დასრულებულ სურათს მსოფლიოში კომინტერნის ორგანიზაციის. ორგანიზაციული მუშაობა დამთავრებულია, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ყოველს ქვეყანაში დადგება მომენტი, როცა ყველა მუშა ადმართავს რომელიმე პარტიის დროშას. რანაირი სიკოტრეც არ უნდა წარმოვიდგინოთ შესამჩნევ ნაწილს მუშათა მასისას მაინც დაიკერავს თუ ის პარტია. როცა ყვითელი ბურჟუაზიული ფაშიზმი იტალიაში აბრმავებს ოცდა ათი ათას მუშას, იქ რა უნდა გავიკვიროთ, რომ ჰენდერსონი ინგლისში, ხოლო გომპერსი ამერიკაში ჯერ კიდევ ბევრს მუშას მოხიბლავს თავის პატრიოტულ სამრეწველო დემაგოგიით. პარტიული დიფერენციაცია კიდევ მეტად შეიძლება გამწვავდეს და შეიქმნეს ისეთი უმნიშვნელო ჯგუფებიც, როგორც ანარქისტების ჯგუფი საფრანგეთში, ან კიდევ გოოტერისა ჰოლანდიაში. ამათი სრული დამარცხების ცდა შეუძლებელია და უტოპიურია. საჭიროა ყოველი ძალის გამოყენება და მუშათა მასსების ფრონტის გაერთიანება დარდვეული ბურჟუაზიული ფრონტის წინააღმდეგ.

კომინტერნის ხაბიჯი ისტორიული რევოლუციონური ნური აქტია, მომზადებულ ობიექტურ პირობებში გადადგმული. ყოველი პარტია მოვალეა ხელი შეუწყოს, მუშათა ფრონტის გაერთიანებას, თუ კი ძს მუშათა კლასის განთავისუფლების იდეასთან საბოლოოდ არ გაუწყვეტია კავშირი. ჩვენი ვალია ამ მოწოდებას ახარი მივსცეთ, გავამაგრეთ იგი ყველგან და ყველაფერში.

თებერვალში გახსნილია მუშათა ფრონტის ძთლიანობისათვის პრაქტიკული ნაბიჯების მიღება, პირობების გამოძუშავება, საერთო საქმისათვის საერთო სიტყვის გამოძებნა.

ჩვენ ალ შეგვიძლიან არ შევეხოთ ამ „საერთო ენის“ ძიებას. საქართველოში ამ მხრივ ბევრი რამ არის გამოსარკვევი, საძიებელი, შესარიგებელი, გასართიანებელი. ბურჟუაზიის ფრონტის მთლიანობა თუ დაქსაქსულობა საქართველოში ისევე საგრძნობია, როგორც რომელიმე სამსოფლო ცენტრში. გაერთიანებული მუშათა ფრონტი საქართველოდანაც საგრძნობია ბურჟუაზიული კულტურისათვის. 1921 წელს ჩვენ ამ მიმართულებით რამდენიმე მოსაზრება წარმოვაენინეთ ჩვენს პრესაში. ეხლაც იბადება პრაქტიკული კითხვა: რა პირობებში შეიძლება გაერთიანებულ მუშათა ფრონტის განხორციელება საქართველოში?

თედო დლონტი.

ბრძოლის მეთოდები

I

თუ ვნებავთ გაეცნოთ ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმართულებას, თქვენ უნდა გაეცნოდ არა მარტო მის მიზნებს, არამედ მის მეთოდებსაც.

პოლიტიკური ბრძოლა ერთი და იგივე არ არის ყველასათვის და ერთი და იგივე a priori არ მიდის ყველა პოლიტიკურ ბრძოლის არენაზედ.

ბრძოლის მეთოდთა შერჩევა ისეთი დიდი პრობლემაა პოლიტიკური მიმართულებისათვის, რომ ამ ნიადაგზე დღეს უკვე ოთხი ინტერნაციონალი არსებობს, ოთხი საერთაშორისო ორგანიზაცია არის შექმნილი, რომელნიც მიზნებში ყველა ერთმანეთს ეთანხმებიან.

რა განსხვავებაა თავისი იდეალის, მიზნის მიხედვით მაკდონალდსა და ლენინს შორის, კაუტკისა და ჰილფერდინგს შორის, ბაუერსა და შეიდემანს შორის, პლეხანოვსა და ტროცკის შორის და სხ. და სხ.

რა თქმა უნდა არაფერი. სოციალისტური წყობილების განხორციელება, მისთვის ბრძოლა ყველა მათგანისათვის ურყევი დებულებაა. მართალია მოწინააღმდეგენი პირადულ კარიერას, „მოდალატეობას“ მიაწერენ ერთმანეთს, მაგრამ ეს უფრო სპეროპაგანდა და სადემაგოგიო სიტყვებია, ვიდრე არსებითი მდგომარეობის ასახვა.

მაშასადამე, ერთი უდიდესი პრობლემა პოლიტიკური პარტიისათვის ბრძოლის საშუალებათა, ბრძოლის მეთოდთა გამომუშავებაა. ოუენი, ფურიე, სენ-სიმონიც ხელს აწერენ სოციალიზის განხორციელებას, მარქსისტული სოციალიზმი, რომელიც მარქსის შკოლიდან გამოვიდა, როგორც კოსმოპოლიტიური და მატერიალისტული დოქტრინა, ამავე მიზანს ისახავს, ესერული მიმართულებაც სოციალიზმისათვის იბრძვის, მაგრამ ყველა მათ შორის დიდი და რადიკალური განსხვავებაა. ეს განსხვავება ბრძოლის მეთოდთა შერჩევაშია.

ანარქიზმიც ბრძოლის მეთოდთა შერჩევის ნიადაგზე რამდენიმე მტოდ არის დაყოფილი. პირველი პერიოდი ანარქიზმისა იწყება გოდვინის თხზულების გამოსვლიდან ბაკუნინის მოღვაწეობამდე. პირველ პერიოდს ახასიათებს ინდივიდუალური ტენდენცია, მშვიდობიანობა, და რევოლიუციური მეთოდების სისუსტე. ამ ნიადაგზე სდგას ტომსონი, დუოსიან ვარენი, სტეფანე პერლი, ანდრევსი და სხვა.

ბაკუნინის გამოსვლის შემდეგ ანარქიზმი იდებს კოლექტივისტურ და რევოლიციურ ხასიათს, ხოლო კროპოტკინის შემდეგ კი ანარქიზმი უფრო ანტი სახელმწიფოებრივია, ვიდრე ის იყო ბაკუნინის დროს.

დღეს ანარქიზმი დაყოფილია და ჩვენ ვიცნობთ ინდივიდუალისტურ ანარქიზმს, რომელიც უარყოფს კომუნიზმს და რომლის წარმომადგენელია ამერიკაში ტუკერი და გერმანიაში მაკკაი. ვიცნობთ კომუნისტურ ანარქიზმს, რომელიც იყოფა რევოლიციონურს და ევოლიუციონურ. ძიძართულებად და რევოლიუციონური კიდევ იყოფა დოქტრინურად, კომპრომისულსა და აბსოლიუტურ ტეროორისტულ მიმართულებად.

ყველა ეს „დაყოფა“ შედეგია ბრძოლის მეთოდთა შერჩევისა, მიზნისაკენ სასვლელი გზის სხვა და სხვაობისა.

მაშასადამე, პოლიტიკური პარტიისათვის უდიდესი საკითხია ბრძოლის მეთოდის პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრისთვის რა თქმა უნდა ჯადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მიმართულების ფილოსოფიურსა და სოციოლოგიურ კონცეპციებს, უფრო სამართლიანად—ეს კონცეპციები ამ პრობლემის გადაჭრაა.

თუ თქვენ მატერიალისტი ხართ და მატერიალისტური თვალსაზრისით აფასებთ ისტორიულ მოვლენათა წყობას, ცხადია თქვენი გზები, თქვენი პრაქტიკული პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს მატერიალისტური ისტორიოსოფიიდან. თუ თქვენ იდეალისტი ხართ, ამ შემთხვევაშიაც თქვენი შეფასება სოციალურ მოვლენათა რიგისა ზანსაკუთრებული იქნება და, აგრეთვე განსაკუთრებული იქნება თქვენი პრაქტიკული პოლიტიკა, რომელის კრიტერიასაც წარმოადგენს ამ შემთხვევაში იდეალისტური ისტორიოსოფია.

ჩვენ, სოციალ ფედერალიზმის ნიადაგზე მდგომნი, რომელნიც ვიღებთ სინთეზიურ გზას ისტორიულ და სოციოლოგიურ მოვლენათა შეფასებაში, ამავე დროს ვაღიარებთ პროვინციების თვით მიზნობას და ტრანსცენდენტური აზრით არ ვფარავთ იმანენტურ უაზრობას, იდეალისაკენ სასვლ გზასაც თავისებურად ეკაფავთ და ბრძოლის მეთოდებს ჩვენი ფილოსოფიური და სოციოლოგიური კონცეპციების თანახმად ვირჩევთ.

ჩვენთვის მიუღებელი იყო მაკიაველიზმი, ჩვენ ვერც შტირნერისა და ნიცშეს ფილოსოფიას გავიზიარებდით, ჩვენ ვერც ბლანკისტურ მეთოდებს მივიღებდით. ტერორიზმიც ჩვენთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

პიროვნება თუ არის მიკროკოსმი, თუ იგი პატარა ქვეყანაა თავის თავად, თუ პიროვნება თვით მიზანია და პროგრესი პიროვნების სრულ ქმნისათვის არის მისაღები, ცხადია პოლიტიკურ ბრძოლაშიაც, საერთოდ ბრძოლის მეთოდებშიაც ჩვენ პრიმატს უნდა მივაწერდეთ პიროვნებას, უნდა ვაღიარებდეთ მის ეთიურ დირებულებას. კანტის კათეგორიული იმპერატივი, პიროვნების დასახვა არა საშუალებად რაიმე მიზნისათვის, არამედ თვით მიზნად საუკეთესო ეთიური საფუძველია პოლიტიკისა, პოლიტიკის ცენტრალური იდეა უნდა იყოს პიროვნების ეთიური დირებულება და ამიტომ პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს ეთიკა.

სოციალიზმიც ჩვენთვის ეთიური იდეალია, რომელიც ყოველ დაბრკოლების მოსპობას პიროვნების განვითარებისათვის და შექმნის ინდივიდუალიზმისა და საზოგადოებრიობის საუკეთესო სინთეზს.

ასეთია ჩვენი გაგება საერთოდ და აქედან აზკარაა, რომ პოლიტიკური ბრძოლის პროცესშიაც პიროვნების ეთიური დირებულება უნდა დავიცვათ და მოწინააღმდეგეს ვებრძოლოდ არა როგორც პიროვნებას, არამედ როგორც გასაზიარებელი იდეის წარმომადგენელს, რომელიც ჩვენი სუბიექტიური შემეცნებით საზიანოა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პიროვნული ინდივიდიური თავისუფლებისათვის. ეს მეთოდი ბრძოლისა, ეთიური ინდივიდუალიზმის კონკრეტიზაციაა პრაქტიკულ სფეროში.

ასევე ისე ზედმიწევნით არ გატარებულა ჩვენი პრინციპი ბრძოლის მეთოდისა, როგორც სოციალ-ფედერალიზმის ძმამთავრის არჩილის მოღვაწეობაში აიღეთ თქვენ არჩილის მოყვაწეობა, მისი პოლემიკა, მისი წერილები და თქვენ ვერ იპოვით, ვერც ერთს სტრიქონს, ვერც ერთ ფრაზას, ვერც ერთ სიტყვას, რომელიც მკაცრად არ ეშორჩილებოდეს ლიტერატურულ ეთიკას და პიროვნების ეთიური დირებულების პრინციპს.

არჩილახათვის, როგორც სოც.-ფედერალისტისათვის ეს საეჭვდებულო იყო. ეს საეჭვდებულოა ყველა სოც.-ფედერალისტისათვის და საეჭვდებულოა რა თქმა უნდა ჩვენთვისაც.

თქმულია, შვილი უნდა სჯობდეს მამას, რომ ცხოვრებაში წინმსვლელობა იყოს და მართლაც არჩილის სულიერი შვილები უნდა ვჯობნიდეთ ჩვენს სულიერ მამას, რომ ერთი დიდი ძირითადი პრინციპი შევინახოთ, განვახორციელოთ და ხელი შეუწყოთ იმ იდეალის განხორციელებას, რაც შეადგენს ჩვენს ბრძოლის ობიექტს.

მაგრამ ცხოვრება ხომ სულ წინ არ მიდის ერთი და იგივე მოძრაობით, რომ შვილმა აუცილებლად აჯობოს მამას და ჩვენც საეჭვებლად ვხედავთ, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგები არ სდგას ხოციალ ფედერალიზმისა და არჩილის ნიადაგზე პიროვნების შეფასებაში და ისეთ პასკვილებს სწერს, ისე აფასებს პიროვნების ეთიურ დირებულებას, ისეთ პასკვილებს აწერს ხელს, რომელსაც ხელს ვერ მოაწერდა ვერც ფრიდრიხ ნიცშე, ვერც მაკკიაველი და ვერც ერთ ადამიანი, რომელიც თუ პიროვნების ეთიურ დირებულებას არა, ლიტერატურულ ეთიკას ძაინც სცნობს და უბრალო რიგიანობას იცავს.

გაითვალისწინეთ ჩვენი ხედველობა ბრძოლის მეთოდებზე და აიღეთ ჩვენი ყოფილი ამხანაგების, „სოციალისტ-ფედერალისტების“ ბრიმიერა „რა მოხდა?“

იქ წაიკითხავთ—თეკლა ლლონტი:—

შანტაჟისტი, ქვენა გრძნობებით მოლაპარაკე, ხიხლის ხამართლის დამნაშავე, ჯაშუში, სიზიზღარი, „гадина“ აუღმდაბალი, მოღალატე, მატყუარა, ავანტიურისტი, უბედო, უუღიკი, წვრილ-ფეხა აფეთიანტი, გარეწარი კაცუნა, ძაბეზარი, „დონოვჩიკი“, იუდეშკა, დაქირავებული, მუწუკი, გათახსირებული, წამბდარი, ნიმუში გაუგონარი ხიბინძურისა, ტაკი-მაცხარა, აგენტი...

ოთხ იტყვი მიუდგომელო მკითხველო?

ვფიქრობ, რომ ასეთი [illegible] ალარ დაწერილა. არასოდეს გვიხახავს ქადალდზე გადატანილი ასეთი სიტყვები, ვერც წარმოვიდგენდით თუ ასეთ ოხამძეს დასწერდა ვინმე. მით უფრო ვერ წარმოვიდგენდით თუ ასეთი ბრიმიერის დაწერა შეეძლო „სოციალ-ფედერალისტს“.

კიდევ კარგი, რომ არჩილი თავის დროზე დაქლექიანდა საქართველოს წყლულებით, თორემ მას ჩვენი ეპიქტეტი იმერებით დავაქლექიანებდით და უსახელოდ ძოვკლავდით...

შეიძლებელია გიწოდონ მეძაჯვენა, რეაქციონერი, კონტრ რევოლიუციონერი, ავანტიურისტი და სხ. რომელიც გამოხატავს პოლიტიკურ აზრს, პოლიტიკურ შინაარს, მაგრამ სიტყვა არ ძოიპოვება იმის გამოსათქმელად თუ ოს ნიშნავ. ზემოდ მოყვანილი ძარგალიტები.

ჩვენთვის საინტერესოა ჩვენი ყოფილი ამხანაგების ბრძოლის მეთოდები საერთოდ. ზემოდ მოყვანილი დოკუმენტი კი ერთი მომენტია მხოლოდ მათი ბრძოლის მეთოდისა. ამ მომენტის შეფასება თავისი შინაარსის მხრივ აქ არ გვაინტერესებს, ხოლო საინტერესოა ვიცოდეთ სხვა მომენტებიც მათი ბრძოლის მეთოდისა, რომელ ხელიც შემდეგ ვისაუბრებთ.

ალ. ამაღლობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ ორგანიზაციებს

ვინაიდან გაზეთი „ტრიბუნა“ საკუთარ მეურნეობაზე პარტიულ ორგანოებს ევალებათ სასწრაფოდ გაასწორონ გაზეთის ანგარიში რედაქციასთან.

დაიბეჭდა და იყიდება

ლექსები. მეოთხე ტომი.

ი. გრიშაშვილი

ქ. შ. წ. კ. მაღაზიაში.
განათლების კანტორაში.
სტუდენტთა კოო—ში.

ქართული ენა თავიდგანვე მარტივ მდგომარეობაშია

III

მეჩვიდმეტე საუკუნე იყო დასაწყისი ქართული მწერლობის აღორძინებისა. თეიმურაზ პირველმა, არჩილ მეორემ, იოსებ ტფილელმა და სხვებმა შეიგნეს საჭიროება ქართული მწერლობის აღორძინებისა არა მარტო შინაგანად, ე. ი. შინაარსის გაეროვნულებით, არამედ ფორმითაც. იცოდნენ თუ, რამდენად საჭირო იყო აზრების გასავრცელებლად მარტივი ენა და მისდგნენ სიტყვის დავერცხლვას, მათებურად რო ვსთქვა. ასევე დავერცხლა იმ დროს თარგმანი დიდებული ფირდოუსის შაჰნამე (ძეფეთა წინგი), ეპოპეისა, რომელსაც თარგმნელმა როსტომიანი უწოდა. ეი მაგალითები:

კაცმა უნდა თავის საქმე
ყველა ღვთითა მოიგვარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს,
იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა
თავის რიგით რამე ერგოს,
სახელის ხე საჩრდილობლად
წყლისა პირსა რამე დარგოს

—

ენა ტკბილი, ენა მწარე,
ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის უკუმყრელი,
ენა ქვეყნის შეცამცვრელი,
ენა მკურნალ სნეულთათვის,
ენა მთელ თა დახვრის მკვრელი,
ენა სული სულთ მობრძავთა,
ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.
(თეიმურაზ პირველისა).

ჩემს ზამბახსა რა დაეკნობს,
არ გაუწყვეტ ცრემლთა ნამსა:
მიჯნური ვარ, ვის მნათობნი
ვერ ურჩ ექნეს ვერცა წამსა,
დაუკრია გული ლახვარს,
შავთა რიხთა წარბ წამწამსა,
ვით შემიქნა მე ზამბახი
დიყად, ვინ რომ სულს მიდგამსა.

—

ასე სპირს საქართველოსა,
დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვადებიან, იტყვიან,
უჩემოდ ვინ იმდერეთა.

—

ენას აქვს გესლი ბოროტი,
უმწარე ასპიტისაგან,
თვით დამიცლია აგრეთვე,
ვითა მასმია სხვისაგან
(არჩილ მეორისა)

ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა,
მიკვირს, ვერავინ ხედავსა.
რაც საქმე შევსძლე ქვეყნისთვის,
ვსთქვი თუ, ვის გაუბედავსა?
ქართველნი დავხსენ მოსპობას,
მით მიზმენ ზედი ზედ ავსა,
რა გინდ რომ თავი ვაწამო,
მაინც მეტყვიან ბედ-ავსა.
(დედმოურავი ნი იოსებ ტფილელისა)

აწ სხვა საქმესა ვპირებ,
შენ როსტომ დაგვიწყებია,
ტუსი, გივი და გოდერძი
ერანინ თავადებია.

ორი ნაწილი დახოცეს,
ჩვენ გვყეს რა ნავნებია,
თუ ბეჟანს მოჰკლავ, იცოდე
ან სრულა ოხრებია.

—

ტახტზე დასვეს თავს გვირგვინი
დახურეს და მიულოცა;
წინა სუფრა გაუშალა,
თქვა თუ, ჭირნი ამეხოცა
სადმ ჰკადრა, ამას იქით
მტერნი ჩვენი დამეხოცა,
თქვენ რასაცა მიბრძანებდეთ,
იგი ვქნა და-ბერე ვჭოცა
(როსტომიანი ფირდოუსისა)

მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეში, როცა მწერლობის აღორძინებისთვის მოღვაწეობას მეტი მხნეობა დაეტყო, საუკუნეთაგან მოჩუხჩუხე ნაკადულს წმინდაენისას შემოერია მდვრიე რუ სწორედ ისეთი, როგორაც წარმოადგენა ძველი მწერლობის ზოგიერთი ძეგლი, ვახტანგ მეექვსის ნათარგმნი ქილილა და დამანა არ მოსწონდა მის რედაქტორს საბა სულხან ორბელიანსა. არ მოსწონდა თარგმანის სადა სიტყვაობა, თქმაც, უნდა ითქვას, გალექსილი ნაწილი არც თუ ურიგოა სჯულქდებელ მთარგმნელს მისი თარგმანის ნაკლი მით ამხილა სახელოვანმა იგალეთმეტყველმა, რომ ქილილა და დამანას ყაიდაზე დასწერა ხიბრძნე სიცრუისა, არაკები კრებული, შინაარსით და ძიმართულებით მოსხრე ქვეყნის მმართველის სპარტანულად აღზრდისა, ხოლო ფორმით იმდენად ადვილ გასაგები, რომ რჩეულ არაკებს დაბალი კლასის მოწაფეებსაც კი ვაკითხებთ. როგორც ქილილა და დამანა, ისევე გაირჩევა ენის სამძიმით ვახტანგისვე ძეცადინეობით შეკრებილი და გამართული სხვა და სხვა მატიანე, რომელსაც ეწოდება ქართლის ცხოვრება. ვახტანგ სჯულ მდებელი იყო მოყვარული ძალად ფარდოვანი მწერლობისა ადნაქვსისა ისევე, როგორც მისი ძმის წულა ანტონ პირველი კათალიკოზი. მაგრამ ანტონ მამამთავარმა უფრო შორს გაწია. რუსულ-ლათინურის ენის მიბაძვით სქესების და თანდებულის ხმარება შემოიღო ქართულს ენაში. ეი მაგალითები:

დაწვი იაგუნდს უგვანდ,
სახე წყალს ჩამდინარესა,
პირი ძთვარესა გავსილსა,
სრულ ამე ებულ არესა,
წარბი მშვილდურად მოხრილი,
წამწამი ისარს მწარესა,
მისგან მოწყლულსა არ მისცის
წამალი მემედარესა.
(ქილილა და დამანა)

ერთი კუ და ერთი ბორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა და გასავალი წყალი დაჰვდათ, ბორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა, ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო. შეაჯდა ბორიელი ზურგზე, კუ რა წყალში შეეცურდა, ბორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ უთხრა ძმაო რას იქმო. ბორიელმა უთხრა. რა ჭქმნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ. მტერს და მოყვარეს ყველას უნდა ვკბენდეთო. კუმ დაიყურყუმელავა და ბორიელი წყალს მისცა დ. უთხრა, ძმაო, არც მე მნებავს მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს გასივდება და მოკვდებაო. (ხიბრძნე ხიცრუისა საბა სულხან ორბელიანისა).

ვახტანგ მეექვსის და ანტონ კათალიკოზის დროს საბა ორბელიანს გარდა, ჰქოდვაწეობდნენ ისეთი კალმოსნები, რომელნიც არ იზიარებდნენ მათ სამწერლო მიმართულებას და სწერდნენ მდაბიურად. ასეთია სადა სიტყვაობაში ყარამანიანის მთარგმნელი, კარაბადინის ავტორმთარგმნელები და სასულიერო მეევრმეტყველი ანტონ ჭყონდიდელი, ხოლო პოეზიაში პოეტი დავით გურამიშვილი, ბესიკი და დავიწყებული ავტორი ერთი შესანიშნავი შაირისა, რომელიც კაცობას გვარიშვილობას უმაღლეს აყენებს და რომელიც შოთა რუსთველისად მიაჩნიათ, ალბად იმის გამო თუ, რომ დავით ჩუბინაშვილის გამოცემულ ვეფხის ტყაოსანს ეპიგრაფად აქვს, როგორც პროზა, ისევე ლექსი ხსენებულ ნაწარმოებათა დაწერილია გასაოცარის მსუბუქის ენით. როსტომიანთან ერთად ყარამანიანი და კარაბადინები დღეს სახალხო საკითხავ წიგნად გადაქცეულა და თუ ჩვენს ხალხს ქართული წიგნი უყვარს იმ ნაწერების წყალობაც უნდა იყვს. ანტონ ჭყონდიდლის აღნაქვსმა და იმისმა ენამზეობამ ხომ სასწაულიც მოახდინა. ქართ კახეთის ბატონის ერთ ერთი ასული უსდა შეერთო ოდიშის ბატონიშვილს, ანტონ ჭყონდიდლის ძმასა. ჩვეულებად იყო დიდ დღესასწაულში თეთრ ქალალდს მიართმევდნენ სახეიმო სიტყვის წარმოსათქმელად იმას, ვისი მეევრმეტყველების და ცოდნის იმედიც ჰქონდათ. თეთრი ქალალდი მიერთვა ანტონ ჭყონდიდელსა. სიცხოველე და სიძველე მისი სიტყვისა ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ თვით ანტონ კათალიკოზიც კი ადიტაცა მაშინ მოვიდა ივერიის ეკლესიის მამამთავარი და საჯაროდ გადაჰკოცნა ანტონ ჭყონდიდელი. დაუგდოთ ყური მაგალითებსა:

სამს დღეს გზის თადარიკი ნახა, რაც იარაღი ჰქონდა, ყოველივე მოამზადა მეოთხე დღესა მე და შირვანჯა მოგვიხმო, შეგვილოცა, შემოგვბერა და ძასვე წამსა ორნივე მფრინველად ვიქცეთ ესრეთ, რომ ორთავ ერთმანეთისა გვეშინოდა. მერმე თვით შეილოცა და ორბად გარდაიქცა. ჰაერში ავფრინდით შვიდი ზღვა განვლეთ და ძას ცეცხლისა მთასა მიუახლოვდით. (ყარამახიანი).

დაკოდილს რომ სისხლი სდიოდეს და არ დაუდგეს, ბიდე გაურეცხელი მატყლი, კურდღლის ბალანი და ძველი ფარდაგის ნაგლეჯი, სწორ სწორ დაწვი, დანაყე, გაცარ და ზედ დააყარე. ღვთით ერგების. (კარაბადინი)

იტყვის ძოციქული პავლე, სერთაფასა ნუ მცონარე ხართ. მდაბიურად რომ განვაცხადოთ მოციქულის სიტყვა ასე ითქმის, რომელიც სასწრაფო საქმე იყოს, მისთვის მცონარეობას არ უნდა ვყოფდეთ, დაუყოვნებლად უნდა აღვასრულებდეთ. და სასწრაფო საქმე კეთილი მხოლოდ არის და მის აღსრულებას უნდა ვისწრაფოდეთ და არა უნდა ვყოფზებდეთ, ვითარცა გვასწავლებს ბრძენი სოლომონ და იტყვის, ძალა თუ გედგას კეთილის ყოფად, ხუ დაიცადებ. მოციქულისა და ბრძენისა სოლომონის პირით მტკიცე იქმნა, კეთილი არ უნდა დავაცადოთ და მსწრაფლად ადვასრულოთ.

(ქადაგებანი ანტონ ჭყონდიდლისა)

სავარგონია, მგონია,
ეს სიტყვა გასაგონია,
ბად წალკოტისა მოქმედთა
ვარდი დათესონ, რგონია.
თუ სნეულება უფთხოდე,
ჭამე, სვი შესარგონია,
თავს გაუთრთხილდი, არ უყო
საქმენი ურიგონია.

—

ისმინე, სწავლის მძებნელო,
მიჭყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე, ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა,

—

სწავლა სიკვდიდმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი,
მას ეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი.
(დავით გურამიშვილისა)

შეჰყავთ საყდარსა და სწერენ ჯვარსა,
ცოდვით ავსებენ მთასა და ბარსა.
დახე იმ დვდელსა, იმ სულის მტერსა,
ვისზედ სწერს ჯვარსა ჩემს საყვარელსა?

ნათელ ველოდი, დამიდგა ბნელი,
მე გამიშავდა წუთისოფელი;
რვა წელიწადი ვინ ეწვალება,
სახეს მზის ხილვა ვის ეთვალება.
ბესიკისა

ფილოსოფოსნი შემოკრბეს,
ამისთვის ჰქონდათ ცილობა,
ბატონი ყმასა ასაქმებს
და ჭკუას გამოცჯილობა.
ათასად გვარი დაფასდა,
ასი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა
უცნობი ავტორისა

(შემდეგი იქნება).

პეტრე მირიანიშვილი.

ახალი ამბები

— უცხოეთის ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზედ 29 იანვარს (ათას მანეთებში):

	ყიდვა	გაყიდვა
სტერლინგი	1490	1500
ფრან. ფრანკი	30	31
იტალ. ლირა	18	—
ოსმ. ქაღ. ლირა	245	246
ოქრო (10 მან)	1740	1750
„ (ლირა)	1495	1505
დოლარი	355	357
გერმანული მარკა	2,9	—

— ბათომის ნავთსადგურში 25 და 26 იანვარს გავიდა საფრანგეთის გემი „სირკასი“ სტამბოლისაკენ და რუსეთის გემი „პესტელი“ ოდესისკენ. გაიტანა 15,000 ფუთი საქონელი და გაიყვანა 300 მგზავრი. 28 და 29 იანვარს შემოვიდა ინგლისის გემი „კარვინი“ 240 ტონი საქონლით და 15 მგზავრით.

— გამოფენის დახურვა. დაიხურა წიგნებისა და ჟურნალების გამოფენა 29 იანვარს. გახსნახულია მუდმივი გამოფენის გამართვა.

— ხეკტანტების ყრილობა. 1 თებერვალს შესდგება სექტანტების ყრილობა, რომელიც იქონიებს მსჯელობას მიწადმოქმედების კომისარიატისადმი დამოკიდებულების შესახებ.

უცხოეთი

ამერიკა. „დეილი ტელეგრაფის“ და „ჩიკაგოს ტრიბუნის“ ცნობით ამერიკა გენუას კონფერენციაში მონაწილეობას არ მიიღებს.

ლონდონი. 28 იანვარი. სენატორმა ბრიანმა ამერიკის სენატში განაცხადა ვალების შესახებ, რომ მთელი ძალა ევროპის ეკუნომიური აღორძინებისათვის, სუსტი იქნება თუ არ იქნა გადასინჯული ვერსალის ხელშეკრულება.

რომი. 28 იან. კანცლერმა ვირტმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ გერმანეთი მიიღებს ყველა ზომებს თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. მან პროტესტი განაცხადა პუანკარეს დებულების წინააღმდეგ, რომ ვითომც გერმანეთი გაურბოდეს ვალდებულებათა შესრულებას.

თეატრი და ხელოვნება

ახალ-მწიფო ოპერა „ტრავიატა“.

„ტრავიატა“ ერთ-ერთი განთქმული ოპერათაგანია. ვინ არ მოუსმინა ტფილისის საზოგადოებას ვიოლეტას პარტიაში: იტალიანური ოპერის განთქმულ მომღერლებიდან დაწყებული, უბრალო სოპერო მომღერლამდის. ოპერა ყოველთვის დიდ საზოგადოებას იზიდავს. არ შეიძლება ვსთქვა, რომ ამ ჯამად დადგმულმა ოპერამ სრული კმაყოფილება მომანიჭა. მთავარ პარტიას მოქ. ხენკინა ასრულებდა, რომელიც ბრწყინავდა. მხოლოდ დიდებულ ტანისამოსით და მოგვცა მესახედავად ძმხიბლველი ვიოლეტა. სრულიად უადგილო იყო ძეორე აქტში (სოფლის სახლში) ისეთი მდიდრული ტანსაცმელი. მომღერალი ქალი მეტად ბოროტად სარგებლობს ბრილიანტებითა და დეკოლტეებით. საკმაოა ფართო დიაპაზონით, მაგრამ ნაკლებად დამუშავებულია კოლორატურის მხრივ, ხენკინას სიმღერა გულს არ სწვდება და ვიოლეტას ტანჯვა მსმენელში თანაგრძნობას ვერ პოულობს. (პირველი აქტის სოფინ. ლი არია, რომელშიაც საკმაოდ არის მასალა მომღერალისთვის, მეტად უფერულად ჩატარდა, როგორც კოლორატურის, ისე ტენნიკის მხრივ). ლამაზად მღერის ალფრედის პარტიას მოქ. ზალიპაკი, მაგრამ სცენიური გადმოცემა ტრაფარეტულია.

დამაკმაყოფილებელი არ იყო ორკესტრის შესრულება, თუმცა კომპოზიტორის უხვი ხელით ბევრი მგლოდია არის ოპერაში, ხშირად ორკესტრი მომღერალთ სცილდებოდა (ტერმონის არია).

საერთოდ საჭირო ორკესტრის წესრიგში მოყვანა, თორემ ცუდათ შესრულება ისეთი ოპერის, როგორც „ტრავიატაა“ არავის დააკმაყოფილებს და ალბად გაცილებით ძნელად იქნება მიჩნეული ისეთი ოპერების შესრულება, სადაც ორკესტრს მეტი ადგილი აქვს დათმობილი. უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი სახელმწიფო სოპერო თეატრში არიან. ლამაზად მღერის ტერმონს მოქ. პოლიბევი.

ჯ. ფ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დაკარგე მატრიკული № 1834 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად.
გრიგოლ ვიკენტის ძე ქუთათელაძე.
195